



ფინანსური აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვაშტკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

11 თებერვალი 2021 წელი

N20/36

ეგზ.. N 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის
ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფინანსური
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	3
	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და საბიუჯეტო პროგრამები	3
	ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის პროცესის მიმოხილვა	6
	დასკვნა ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე	7
	მოსაზრება	7
	1. პირობითი მოსაზრების საფუძველი	8
	2. სხვა გარემოებები	10
	3. წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა -ნაკლოვანებების მდგომარეობა	13
	4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	14
	საკონტაქტო ინფორმაცია	15

ტერმინები და შემოკლებები

მერია – თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

საკრებულო – თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს დედაქალაქი თბილისი – თვითმმართველი ქალაქია. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის, როგორც საქართველოს დედაქალაქის სტატუსი გულისხმობს თბილისის განსაკუთრებულ სამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების დასაცავად უზრუნველყოფს ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით თბილისის მართვას. თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოს – თბილისის საკრებულოს და თბილისის აღმასრულებელი ორგანოების სისტემის – თბილისის მერიის მეშვეობით. თბილისის ტერიტორია იყოფა ადმინისტრაციულ ერთეულებად. თბილისის მერია (თბილისის მერი, თბილისის მთავრობა, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულები და თბილისის რაიონების გამგეობები) არის თბილისის აღმასრულებელი ორგანოების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თბილისის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას. თბილისის მუნიციპალიტეტი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. მას აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და საბიუჯეტო პროგრამები

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,¹ სახელმწიფო, ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები სრულდება საკასო მეთოდით. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ 2020 წლის 3 აპრილის განკარგულებით² ცნობად მიიღო ინფორმაცია 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ და წარუდგინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს. აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა აღნიშნულ დოკუმენტში ასახული მონაცემების შეფასება სისრულის, სიზუსტისა და კლასიფიკაციის თვალსაზრისით. კერძოდ, აუდიტის მიზანი იყო დასკვნის გაცემა – რამდენად სწორად მიეწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს და სხვა დაინტერესებულ პირებს შემდეგ საკითხებზე:

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ასახული შემოსულობების და გადასახდელების სისრულე;

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების სიზუსტე, ფაქტობრივ საბიუჯეტო პარამეტრებთან შედარებით;

საბიუჯეტო გადასახდელების მუხლობრივი კლასიფიკაციის შესაბამისობა, მათი მიზნობრიობისა და შინაარსის მიხედვით.

გამომდინარე აქედან, ფინანსურმა აუდიტმა მოიცვა 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ასახული შემოსულობები – 1,160 მლნ ლარის და გადასახდელები – 1,002 მლნ ლარის ოდენობით. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში:

¹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი.


² №51 განკარგულება.

ცხრილი №1. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ (ათასი ლარი)

დასახელება	გეგმა	ფაქტი	შესრულების %
შემოსულობები	1,043,916.5	1,160,126.2	111.1%
შემოსავლები	1,009,839.6	1,101,206.0	109.0%
გადასახადები	658,415.2	708,992.3	107.7%
გრანტები	151,149.6	151,112.1	99.9%
სხვა შემოსავლები	200,274.8	241,101.6	120.4%
არაფინანსური აქტივების კლება	32,976.9	57,300.2	173.8%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	1,100.0	1,619.2	147.2%
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.8	
გადასახდელები	1,106,066.8	1,002,542.4	90.6%
ხარჯები	795,205.9	710,069.2	89.3%
არაფინანსური აქტივების ზრდა	301,209.0	282,821.3	93.9%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	
ვალდებულებების კლება	9,651.9	9,651.9	100.0%
ნაშთის ცვლილება	-62,150.3	157,583.8	

როგორც მონაცემებიდან ჩანს, 2019 წლის ბიუჯეტში მაღალი წილით გამოირჩევა შემოსავლები, რომლებიც შემოსულობების 95%-ია. თავის მხრივ, ბიუჯეტის შემოსავლების 64%-ზე მეტს გადასახადების სახით მიღებული შემოსავლები შეადგენს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში მნიშვნელოვანი წილი, 70 %-ზე მეტი უჭირავს ხარჯებს:

დიაგრამა №1. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯების შესახებ (ათასი ლარი)



2019 წელს მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯების შედარება შესაბამის გეგმურ მაჩვენებლებთან ნაჩვენებია №2 ცხრილით.

ცხრილი №2. მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯების გეგმა-ფაქტის შედარება (ათასი ლარი)

ხარჯები	გეგმა	ფაქტი	შესრულების %
შრომის ანაზღაურება	86,724.0	86,163.0	99.3%
საქონელი და მომსახურება	143,873.6	137,144.3	95.3%
პროცენტი	1,559.7	1,559.7	100.0%
სუბსიდიები	181,802.1	181,518.1	99.8%
გრანტები	1,080.3	990.0	91.7%
სოციალური უზრუნველყოფა	167,981.7	167,429.5	99.7%
სხვა ხარჯები	212,184.5	135,264.6	63.7%

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია და შესაბამისად, შესრულება წარმოდგენილია პროგრამულად.³ პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა შედეგზეა ორიენტირებული. მისი ამოსავალი წერტილი მისაღები საბოლოო და შუალედური შედეგებია და არა მხოლოდ პროგრამების განმახორციელებლობზე გადანაწილებული რესურსები. კერძოდ, მუნიციპალიტეტი ახორციელებს პროგრამებს, რომლებითაც ფინანსდება ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და მოვლა-შენახვის, ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების შექმნის, გამწვანების, გარე განათების, სოციალური, კულტურული, ბიზნესის სტიმულირების, ახალგაზრდული და სხვა ღონისძიებები.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში ასახულია შემდეგი ინფორმაცია:

- ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;
- ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთები წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;
- პროგრამის მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებები, როცა შეუსაბამობა აღემატება 30%-ს.
- ინფორმაცია სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

გარდა ამისა, ანგარიში იძლევა ინფორმაციას წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების შესახებ. ანგარიშით წარმოდგენილია კონკრეტული პროექტების დეტალური აღწერა და მიღწეული შედეგები, ასევე მათი შეფასების ინდიკატორები.

³ პროგრამა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის პროცესის მიმოხილვა

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მართვისა და კოორდინირებისათვის პასუხისმგებელია მერიის საფინანსო სამსახური.⁴ დამტკიცებული დებულების⁵ მიხედვით, ბიუჯეტის შესრულების მხრივ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- ამუშავებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო მაჩვენებლების სტატისტიკურ-საინფორმაციო მონაცემებს, უზრუნველყოფს დადგენილი წესით მოთხოვნილი ინფორმაციის მომზადებას და მიწოდებას;
- ადგენს დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების განწერას კვარტლების მიხედვით;
- დადგენილი წესის თანახმად, ამზადებს თბილისის მერიის საბიუჯეტო ვალდებულებებს და საგადახდო მოთხოვნებს;
- იღებს და ამუშავებს მხარჯავი დაწესებულებების (მერია, რაიონული გამგეობები, სსიპ-ები, ა(ა)იპ-ები) საბიუჯეტო ვალდებულებებს და საგადახდო მოთხოვნებს;
- დადგენილი წესის მიხედვით ახორციელებს მხარჯავი დაწესებულებების ვალდებულებების რეგისტრაციას და რეგისტრირებული საბიუჯეტო ვალდებულებების შესაბამისი საგადახდო მოთხოვნის თანხის გადახდას;
- კომპეტენციის ფარგლებში უწევს მეთოდოლოგიურ დახმარებას მხარჯავ დაწესებულებებს და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ სხვა ორგანიზაციებს საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების გაუმჯობესებისა და მათთვის ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების ხარჯვის დროს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების სწორად განხორციელების საკითხებზე;
- ადგენს თბილისის ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას და შესრულების წლიურ ანგარიშებს, რომლებსაც წარუდგენს თბილისის მთავრობას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

საფინანსო საქალაქო სამსახურს გააჩნია საბიუჯეტო, სახაზინო და აღრიცხვის განყოფილებები, რომლებიც სხვა მხარჯავ დაწესებულებებთან, მათ შორის, რაიონული გამგეობების საფინანსო ორგანოებთან ერთად ახორციელებენ ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებულ პროცედურებს. გადასახდელების საბოლოო დადასტურებას, აღებული ვალდებულების და დარიცხული ოპერაციის ფარგლებში, ახორციელებს სახელმწიფო სახაზინო სამსახური.

⁴ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 6, პუნქტი „უ“.

⁵ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-65 დადგენილება (2019 წლისათვის მოქმედებდა აღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტი).

დასკვნა ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე

მოსაზრება

პირობითი მოსაზრება ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფინანსური აუდიტი. აუდიტორული მოსაზრება გაიცა აუდიტის ობიექტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების შემდეგ ფორმებზე:

- ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.
- ბიუჯეტის ბალანსი.
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები (დანართი №1).
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება ფუნქციონალურ ჭრილში (დანართი №2).
- ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება (დანართი №3).
- ა(ა)იპ-ის და სსიპ-ის მიერ 2019 წელს მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები (დანართი №4).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან:

- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“.⁶

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“.

1. პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.1 არაფინანსური აქტივების აღრიცხვა

საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია ძირითად აქტივებს განმარტავს, როგორც წარმოებულ აქტივებს, რომლებიც ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენება, რომელთა ღირებულებაც შეადგენს 500 ლარს და მეტს⁷. არაფინანსური აქტივები და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია იყოფა 4 ძირითად ჯგუფად, კერძოდ: ძირითადი აქტივები, მატერიალური მარაგები, ფასეულობები, არაწარმოებული აქტივები. აქტივების შემენა მოიცავს ამ აქტივების შემენასთან დაკავშირებულ ყველა სახის ხარჯს, როგორიცაა: ტრანსპორტირების ხარჯები, შემფასებელთა, აუქციონერთა და დილერების მომსახურებისათვის გაწეული ხარჯები, ასევე პროექტის მომზადების/პროექტირების ხარჯები, აქტივის შემენასთან დაკავშირებული მონტაჟის და დემონტაჟის ხარჯები და სხვ.

სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ჩაშლილ ფორმაში მუხლის – „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ – მიხედვით, შესრულება 86,922.8 ათასი ლარია. მუხლში აღრიცხული ოპერაციების შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები;

ქალაქ თბილისის მერიამ და მისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა⁸ შეიძინეს დეკორატიული ხე-მცენარეების ნერგები⁹ თანმდევი მომსახურებით.¹⁰ შესყიდვა დაფინანსდა „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის“ მუხლიდან. ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შესყიდული 30-ზე მეტი დასახელების ნერგი, საერთო ღირებულებით – 4,409.5 ათასი ლარი, აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. კერძოდ, მათი სასარგებლო მომსახურების ვადა ერთ წელზე მეტია და ღირებულება აჭარბებს 500 ლარს. ამდენად, ანგარიშწორებისას მერიას ნერგების შესაძენად გადახდილი თანხები „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში უნდა აესახა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ბიუჯეტის ბალანსსა და დანართ №3-ში („ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება“) – „საქონელი და მომსახურების“ და შესაბამისად, „ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 4,409.5 ათასი ლარით. იმავე თანხით შემცირებულად არის წარმოდგენილი „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი.

გავლენა

1.2 ხარჯების აღრიცხვა

საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, „ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ – ეს მუხლი იყოფა „მიმდინარე ტრანსფერების“ და „კაპიტალურ ტრანსფერების“ მუხლებად.¹¹ „მიმდინარე ტრანსფერები“ მოიცავს მუხლს – „სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“, რაც გულისხმობს საბაზრო

⁷ „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“, თავი 5, არაფინანსური აქტივებისა და მათზე კლასიფიკაციის მეთოდური განმარტებები.

⁸ ნაძალადევის და დიდუბის რაიონების გამგეობები.

⁹ NAT190002448, NAT190004524, NAT190019408, NAT190002438, NAT190002437, NAT190002441, NAT190002444, NAT190002445, NAT190002449, NAT190012235, NAT190006394, NAT190006429, NAT190006430, NAT190002435, NAT190008455, NAT190008456, NAT190008462, NAT190006393, NAT190018512, NAT190018343.

¹⁰ შესყიდული ნერგების ნაწილი ითვალისწინებდა დარგვას და მოვლა-პატრონობას.

¹¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანება.

წესით მწარმოებლებიდან საქონლისა და მომსახურების შესყიდვას, რომელიც პირდაპირ საოჯახო მეურნეობებზე გადანაწილდება საბოლოო მოხმარებისათვის, გარდა სოციალური დახმარებებისა. მუხლი „კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ მოიცავს საოჯახო მეურნეობებზე გაცემულ ფულადი/სასაქონლო ფორმის კაპიტალურ ტრანსფერს, საოჯახო მეურნეობებზე ან მათ მომსახურე საბაზრო საწარმოებზე გაცემული ფულადი/სასაქონლო ფორმის კაპიტალურ ტრანსფერს.

სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი

„სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლით გაწეული ხარჯების შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

თბილისის მერიის სტრუქტურულმა ერთეულებმა¹² შეისყიდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ეზოების მიმდინარე რემონტის სამუშაოები,¹³ საერთო ღირებულებით – 117.4 ათასი ლარი.¹⁴ ხელშეკრულებების ფარგლებში გადახდილი თანხები აღირიცხა „სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის“ მუხლით. აღსანიშნავია, რომ შიდა ეზოები წარმოადგენს ამხანაგობების საკუთრებას. გამომდინარე აქედან, მოცემული ხარჯები უნდა აღრიცხულიყო მუხლში – „სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“.

ნაძალადევის რაიონის გამგეობამ¹⁵ შიდა ეზოებში არსებული გზების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები დააფინანსა მუხლით – „სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“, ღირებულებით – 53.5 ათასი ლარი. ვინაიდან ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა ამხანაგობის კუთვნილი ქონების კაპიტალური შეკეთება, აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მუხლით – „კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ გატარებას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დანართ №3-ში („ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება“) „საქონელი და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 170.9 ათასი ლარით; 117.4 ათასი ლარით შემცირებულია „სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“, ხოლო 53.5 ათასი ლარით – „კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“. შესაბამისად, „სხვა ხარჯების“ მუხლი 170.9 ათასი ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

გავლენა

¹² ნაძალადევის, დიდუბის, ისნის და სამგორის რაიონები.

¹³ ეზოების ორმოული შეკეთება და მასთან დაკავშირებული სახარჯთაღრიცხვო მომსახურება.

¹⁴ NAT190006285, NAT190006289, NAT190010892, NAT190008987, NAT180018575, NAT180019981, NAT190019789.

¹⁵ NAT190006289.

2. სხვა გარემოებები

2.1 სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი

საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად,¹⁶ ოფისის ხარჯი მოიცავს მხარჯავი დაწესებულების საოფისე საქმიანობისა და მის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ხარჯებს. მათ შორის, საოფისე „ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯებში“ შედის საოფისე ავეჯის, რბილი ინვენტარის, სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი.¹⁷

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ჩაშლილ ფორმაში – „სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯის“ მუხლის შესრულება 1,650.8 ათასი ლარია. აღნიშნული მუხლით შესყიდულია სხვადასხვა ტიპის ინვენტარი,¹⁸ საერთო ღირებულებით – 1,283.8 ათასი ლარი, რომელიც არ წარმოადგენს საოფისე ინვენტარს. ამდენად, ხარჯების დასაფინანსებლად მიზანშეწონილი იყო „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის“ მუხლის გამოყენება.

გავლენა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ჩაშლილ ფორმაში – „სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯის“ მუხლი გაზრდილია 1,283.8 ათასი ლარით. იმავე თანხით შემცირებულია „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის“ მუხლი.

2.2 ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯი

საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, „ოფისისთვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯები“ გულისხმობს ოფისის ფუნქციონირებისათვის საჭირო სამეურნეო დანიშნულების საგნების და მასალების შეძენის ხარჯს.¹⁹

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების ჩაშლილი ფორმით „ოფისისთვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯების“ მუხლის შესრულება 227.0 ათასი ლარია. აღნიშნული მუხლით მუნიციპალიტეტი აფინანსებს მცირეფასიანი სამეურნეო საქონლის, მაგნიტური ბარათების, პირადი ჰიგიენის საშუალებების, მცირე საოფისე მოწყობილობების შესყიდვის ხარჯებს და სხვ.

სსიპ – ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ შეისყიდა ცხოველების იდენტიფიკაციისთვის საჭირო მცირეფასიანი საშუალებები,²⁰ ღირებულებით – 14.6 ათასი ლარი, რომელიც არ წარმოადგენს ოფისისთვის საჭირო საგანს. ამდენად, შესყიდვა უნდა დაფინანსებულიყო „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის“ მუხლით.

¹⁶ დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანებით.

¹⁷ საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია – მეთოდური განმარტებები.

¹⁸ ნაგვის ურნები, სკვერის სკამები, ზოძკინტები და სხვ.

¹⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანება.

²⁰ NAT180020938, NAT190010905.

გავლენა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების გადასახდელების ჩაშლილ ფორმაში – „ოფისისთვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯების“ მუხლი გაზრდილია 14.6 ათასი ლარით. იმავე თანხით შემცირებულია „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის“ მუხლი.

2.3 არაერთგვაროვანი მიდგომა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულებისა და ფუნქციების გადანაწილების პრინციპის შესაბამისად, სახაზინო განყოფილება ფუნქციურად აკონტროლებს თითოეული მხარჯავი დაწესებულების საქმიანობას და უნდა უზრუნველყოფდეს ერთიანი საგადამხდელო მიდგომების ჩამოყალიბებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლობრივ შერჩევაში. მიუხედავად ამისა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს არ აქვს ერთგვაროვანი მიდგომა ცალკეულ გადასახდელებთან დაკავშირებით, მაგალითად:

გლდანის, ვაკის, კრწანისის და ჩუღურეთის რაიონებმა 8 ხელშეკრულების ფარგლებში,²¹ შეისყიდეს ფიტნესტრენაჟორები და მისი მონტაჟისთვის ტერიტორიის მოწყობა, საერთო ღირებულებით – 775.7 ათასი ლარი. ხელშეკრულებების ფარგლებში გაწეული ხარჯები დაფინანსებულია „სპორტული საქონლის“ მუხლიდან. დიდუბის, მთაწმინდის და ნაძალადევის რაიონებმა ფიტნესტრენაჟორები შეისყიდეს 7 ხელშეკრულებით,²² ღირებულებით – 1,124.0 ათასი ლარი. აქედან ტრენაჟორების შესყიდვა დაფინანსებულია მუხლით „სპორტული საქონელი“, ხოლო მოედნის მოწყობის თანხები გაცემულია მუხლით – „სხვა ნაგებობები, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“. ასევე დიდუბის რაიონმა გამოყო 500 ლარზე ნაკლები ღირებულების ტრენაჟორები და დააფინანსა მუხლით – „სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი“;

სამგორის რაიონმა²³ წლის დასაწყისში შესყიდული ტრენაჟორებისა და თანმდევი მომსახურების ნაწილი²⁴ დააფინანსა მუხლით – „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“, ხოლო დანარჩენი ნაწილი დააფინანსა „სპორტული საქონლის“ მუხლით.

მიზანშეწონილია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტის შესრულების პროცესში დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ერთგვაროვან მიდგომას და არჩეული საბიუჯეტო აღრიცხვის პოლიტიკის დაცვას, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

²¹ NAT190000524, NAT190012923, NAT190009910, NAT180019734, NAT190010322, NAT190010570, NAT190019436, NAT190003154.

²² NAT190001044, NAT190003709, NAT190009607, NAT190013551, NAT190020509, NAT190001070, NAT190018587.

²³ NAT180018696 .

²⁴ ხელშეკრულების საკასო ხარჯი – 90.0 ათასი ლარი.

**ქ. თბილისის
მუნიციპალიტეტის 2019
წლის ბიუჯეტის
შესრულების ანგარიშის
შეფასება**

აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების გათვალისწინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში ასახული მონაცემები შეიცავს არსებით უზუსტობებს. თბილისის მერიის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესაბამისი მონაცემების დაკორექტირების შედეგად ბიუჯეტის მონაცემები შემდეგი სახით იქნება წარმოდგენილი:

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში
ცხრილი №3. ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება (ათასი ლარი)**

კოდი	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	წარმოდგენილი ლი ოდენობა	სწორი ოდენობა	სხვაობა
2	ხარჯები	710,069	705,660	4,409
2.2	საქონელი და მომსახურება	137,144	132,564	4,580
2.8	სხვა ხარჯები	135,264	135,435	-171
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	30,675	30,792	-117
2.8.2.2	კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	104,598	104,652	-54
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	282,821	287,230	-4,409

3. წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა - ნაკლოვანებების მდგომარეობა

3.1 წინა პერიოდში გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებებზე რეაგირება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2018 წელს ჩატარა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფინანსური აუდიტი. აუდიტის ანგარიშში დაფიქსირდა სხვადასხვა ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი 2019 წლისთვის გამოსწორებულია, კერძოდ:

- გაზრდილია კოორდინაცია თბილისის მერიის ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებს შორის, რის შედეგად არსებითადაა შემცირებული არაერთგვაროვანი მიდგომის ფაქტები;
- სრულად არის გათვალისწინებული სოციალური ხარჯების აღრიცხვასთან დაკავშირებული შენიშვნები, რის შედეგად წინა პერიოდში დაფიქსირებული ხარვეზები მიმდინარე პერიოდში აღარ გვხვდება;
- გაუმჯობესებულია ხარჯების აღრიცხვის სისტემა, რის გამო არსებითადაა შემცირებული „ხარჯების“ მუხლში თანხების არასწორად აღრიცხვის ფაქტები.

4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბიუჯეტების შესრულების ანგარიშის მომზადებასა და მის წარდგენაზე, საქართველოს კანონის – საბიუჯეტო კოდექსისა და „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანების შესაბამისად.²⁵

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ბიუჯეტების შესრულების ანგარიშის მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას, აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ასახული მაჩვენებლების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას.

აუდიტორები

ხელმოწერა

მიხეილ ჩიქოვანი
წამყვანი აუდიტორი



ლალი სეხნიაშვილი
წამყვანი აუდიტორი



თამარ ბაბუნაშვილი
აუდიტორი



ნანა ფიფია
აუდიტორი



²⁵ 2019 წლის აპრილამდე მოქმედი იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება.

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38